პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ნორიოს აღმართი
ნორიოს აღმართი
ნორიოს აღმართი
ნორიოს აღმართი
ბაქანის ქუჩა
ბაქანის ქუჩა
ზვიადი ცინცაძის ქუჩა
ზვიადი ცინცაძის ქუჩა
ოთარ ჩეხელაშვილის ქუჩა
ოთარ ჩეხელაშვილის ქუჩა
ოთარ ჩეხელაშვილის ქუჩა
უფლისციხის ქუჩა
უფლისციხის ქუჩა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 0108, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

"29" 09 2020 წ.
№ 010107-465/218
თქვ. № 10/03202746 9-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოგიდგენთ აკადემიის პრეზიდიუმის 2020 წლის 24 სექტემბრის № 33 დადგენილებას აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ და მოგმართავთ თხოვნით, რათა გაითვალისწინოთ მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, მისი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თბილისის რომელიმე ქუჩას მიანიჭოთ აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე (ი. ჭავჭავაძის გამზ. 62, მე-6 სადარბაზო) გახსნათ მემორიალური დაფა.

პატივისცემით,

პრეზიდენტი

გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 33

2020 წლის 24 სექტემბერი

აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის
ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა ოთარ ჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიული მეცნიერების, კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიის განვითარებაში.

მისი ნაშრომები უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევისადმია მიძღვნილი. ოთარ ჯაფარიძე აღიარებულია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევრად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ოთარ ჯაფარიძეს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მონოგრაფიისათვის „საქართველოს არქეოლოგია. ქვისა და ბრინჯაოს ხანა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში", გიორგი ნიორაძის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან", ხოლო მისი საეტაპო მონოგრაფია „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემიით აღინიშნა.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მისი ხელმძღანელობით წლების მანძილზე წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, მარტყოფის მიდამოებში. იგი მონაწილეობდა არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში ერაყში.

დიდია ოთარ ჯაფარიძის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ამისი ნათელი დადასტურებაა ოთარ ჯაფარიძის ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ორმოცი წლის განმავლობაში არქეოლოგიის კათედრას ედგა სათავეში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ მხარი დაუჭირა წინადადებას აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების თხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის დამსახურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად:

- თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი;
- სახლს, სადაც აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ცხოვრობდა (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 62, მე-6 სადარბაზო) გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
აკადემიკოსი რ. ხუროძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532312**
თარიღი: **19/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
მისამართი: ჩუღურეთი - ქალაქი თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #65

ჩუღურეთის რაიონის გამგებელს, დავით მაქაცარიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, აქტიურად მიმდინარეობს ქალაქის მასშტაბით არსებული გზათა ქსელების შესწავლა და სახელდების მოწესრიგება, რათა შესაბამის სამსახურებს შესაძლებლობა მიეცეთ მათი უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინონ შენობა-ნაგებობების ნუმერაცია და მისამართის აბრების განთავსება.

ვინაიდან ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩას არ გააჩნდა ერთი დასაწყისი და დასასრული, ქუჩის გარკვეული მონაკვეთები ერთგვარი ქსელის სახით იყო სახელდებული, შეუძლებელი იყო ტერიტორიის დამისამართება. აღნიშნული ხარვეზების მოწესრიგების მიზნით თბილისის საკრებულომ, ო. ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს 2023 წელს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი მიანიჭა. აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი ეწოდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ივანე მიჩურინის ქუჩის ნაწილს.

ქსელების შესწავლის პროცესში დგინდება, რომ ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის IV შესახვევი, მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას საქარის ქუჩასთან, შესახვევს გეგმარებითი კავშირი არ აქვს ო. ჩეჩელაშვილის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, რათა მოწესრიგდეს ნუმერაცია და განთავსდეს სამისამართე აბრები. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დაიწყოს საქმისწარმოების პროცესი, შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების და მისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭების მიზნით.

მოგმართავთ თხოვნით, შესაბამისი სამსახურების საშუალებით, მოახდინოთ ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევში მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირება ზემოთ ხსენებული პროცესის შესახებ. დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლები მზად არიან მოქალაქეებთან შესახვედრად და აღნიშნული საკითხის განსახილველად.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032532940**
თარიღი: **25/11/2025**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 20 ნოემბრის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე, განხილული იქნა საკითხი " ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ."

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, გეოგრაფიული ობიექტების საველე პირობებში დამუშავებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციების ფარგლებში დადგინდა, რომ ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩას არ გააჩნდა ერთი დასაწყისი და დასასრული, ქუჩის გარკვეული მონაკვეთები ერთგვარი ქსელის სახით იყო სახელდებული, შეუძლებელი იყო ტერიტორიის დამისამართება. აღნიშნული ხარვეზების მოწესრიგების მიზნით თბილისის საკრებულომ, ო. ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს 2023 წელს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი მიანიჭა. აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი ეწოდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ივანე მიჩურინის ქუჩის ნაწილს.

ქსელების შესწავლის პროცესში ასევე დგინდება, რომ ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის IV შესახვევი, მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას საქარის ქუჩასთან, შესახვევს გეგმარებითი კავშირი არ აქვს ო. ჩეჩელაშვილის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, რათა მოწესრიგდეს ნუმერაცია და განთავსდეს სამისამართე აბრები.

კომისიამ საკითხის შესწავლის დროს აქცენტი გააკეთა შესახვევის მიმდებარედ სახელდებულ ქუჩებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს წინაშე ინიციატივად დარეგისტრირდეს ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების საკითხი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 10/032027469-03 წერილით კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ კომისიის 2025 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532964**
თარიღი: **25/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 20 ნოემბერს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ოთარ ჯაფარიძის ქუჩა) დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ოთარ ჯაფარიძე

(1921 -2020)

ისტორიკოსი და არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

დაიბადა 1921 წლის 16 სექტემბერს თბილისში. 1929-1939 წლებში სწავლობდა თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში. 1939 წელს შევიდა და 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში. პარალელურად, 1944 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც 1950 წლამდე მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდში, 1948 წელს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1950-1952 წლებში ოთარ ჯაფარიძე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში არქეოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1952 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ოთარ ჯაფარიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. სხვადასხვა დროს იყო არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი. 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1964 წელს ოთარ ჯაფარიძეს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1967 წელს დაინიშნა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგედ. მომდევნო წელს, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრების გაყოფის შემდეგ, ოთარ ჯაფარიძე გახდა არქეოლოგიის კათედრის გამგე, რომელსაც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. 1997 წლის ნოემბრიდან ოთარ ჯაფარიძე არის თსუ-ის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი. 1979 წელს ოთარ ჯაფარიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად. 1991 წლის 13 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ოთარ ჯაფარიძე ასრულებდა თსუ-ის რექტორის მოვალეობას, რომლიდანაც პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა. ოთარ ჯაფარიძე იყო საქართველოს ერთ – ერთი წამყვანი არქეოლოგი, რომლის ნაშრომებმა საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ტომების ისტორიის კვლევაში ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის კვლევის საქმეში. არის 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. 1969 წელს ნაშრომისათვის - „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში" - მეცნიერთაგან პირველს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.